

K 36 152
3

დიმიტრი
ყიფიანის
ს რ ქ 0 3 0



თბილისი
1951

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
ისტორიული დოკუმენტები და არქივები

ИСТОРИЧЕСКИЕ ДОКУМЕНТЫ И АРХИВЫ
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

I

ქართველ მოღვაწეთა არქივები



ბაქანთველას სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 5 1

ვ(ეფ22)2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სხელომწიფო მუზეუმი

ნაკვეთი პირველი

ლიბიბრი ყიფიანის აკრძივი

შეადგინა და დასაბუქლად მოამზადა
შალვა გოჯალიშვილმა

პროფ. შ. ჩხეტიას
რედაქციით

136.151
3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თ ბ ი ს ი

1 9 5 1



ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანის არქივი

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ივანეს-
ძე ყიფიანი დაიბადა 1814 წელს სოფელ მერეთში (გორის რაიონ-
ში). მისი მამა იყო აბაშიძეების ღარიბი აზნაური. ამის გამო
აკაკი წერეთელი შემდეგში დ. ყიფიანის შესახებ წერდა: „სააბა-
შიო, საბატონო აზნაურიშვილს, უბრალო ჩამომავლობისას, უფრო
მეტი ნიჭი და მეცადინეობა ეჭირვებოდა, ვიდრე რომელიმე გვარის
შვილს, რომ ცხოვრებაში ბიჯი გაედგა!.. შთამომავლობით არა
მიუძლოდა-რა!.. მომხრე არავინ ჰყოლია და თავისთავად უნდა
გაეკვლია გზა მომავლისა“¹.

ადრე დაობლებული პატარა დიმიტრი ძმამ ქაიხოსრომ სას-
წავლებლად სასულიერო სემინარიაში შეიყვანა, ხოლო იქიდან მა-
ლე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანა. ეს
სასწავლებელი დიმიტრიმ 1830 წელს დაამთავრა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დ. ყიფიანმა სამაზრო
სასამართლოში დაიწყო სამსახური; თვენახევრის მუშაობის შემ-
დეგ დიმიტრიმ სამსახურს თავი დაანება, რადგან აზნაურობის
წოდების დამამტკიცებელი საბუთის უქონლობის გამო დამტკიცე-
ბაზე უარი უთხრეს.

სამსახურის გარეშე დარჩენილმა დ. ყიფიანმა 1830 წელს
თბილისის გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლობის გა-
მოცდა ჩააბარა. იმავე წლის 1 ნოემბრიდან ამ გიმნაზიაში მან
უმცროს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ასწავლიდა არითმეტი-
კას, გეოგრაფიას, რუსულსა და ქართულს.

მეფის მთავრობის საწინააღმდეგოდ თბილისში მოწყობილ
1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დ. ყიფიანი პო-
ლიციის ზედამხედველობის ქვეშ, სხვებთან ერთად, 1834 წელს
რუსეთში, ქ. ვოლოგდაში გადაასახლეს. ვოლოგდაში ის იმავე
წლის 22 იანვრიდან ადგილობრივი გუბერნატორის კანცელარიაში
მუშაობდა: ჯერ მდივნის თანაშემწედ, შემდეგ „პროტოკოლისტად“,
მდივნად, ბოლოს კანცელარიის მმართველად და სხვ.

¹ იხ. აკ. წერეთელი — ჩემი თავადასახელი, 1937 წ. გვ. 105.

სამი წლის გადასახლებაში ყოფნის შემდეგ, 1837 წლის თებერვალში დ. ყიფიანი გაანთავისუფლეს პოლიციის ზედამხედველობისაგან და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, იმავე წლის 2 მარტიდან დ. ყიფიანი დანიშნეს საქართველოს სტატისტიკურ კომიტეტში საქმისმწარმოებლად; 1837 წლის 22 ივნისიდან იმერეთის მმართველის მდივნად; 1838 წლის 30 აპრილიდან თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მდივნად და „Закавказский вестник“-ის რედაქტორად.

1839 წლის 16 იანვარს დ. ყიფიანი დანიშნეს მთავარმმართველის კანცელარიაში სამეურნეო განყოფილების მეორე მაგიდის უფროსად.

დ. ყიფიანი დიდი შრომის მოყვარე და ენერგიული მუშაკი იყო. ამის გამო იგი სამსახურში მალე დაწინაურდა: 1840 წლის 15 დეკემბრიდან იყო მთავარმმართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსად; 1845 წლის 28 აგვისტოდან ჯერ მთავარმმართველობის კანცელარიის საქმეთამმართველად, ხოლო იმავე წლის 28 სექტემბრიდან კანცელარიის დირექტორად; 1846 წლის 1 იანვრიდან მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთამმართველად.

1849 წლის 18 აპრილს იგი დანიშნეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს წევრად და სასწავლო სახელმძღვანელოების შემდგენი კომიტეტის წევრად.

1851 წლის 31 დეკემბერს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ დ. ყიფიანი არჩეულ იქნა სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, რაზედაც შემდეგ იგი, 1861 წლის 4 თებერვალს, მეოთხეჯერ აირჩიეს.

1855 წლის სექტემბერში მას დავალებული ჰქონდა შეესწავლა აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის მოქმედება და მისი დამოკიდებულება რუსეთისადმი. ეს დავალება მან შეასრულა და 1855 წლის ოქტომბერში მთავრობას წარუდგინა სათანადო მოხსენება, რომელშიაც შარვაშიძის მოქმედება გამართლებული იყო.

1855 წლის ნოემბრიდან 1856 წლის თებერვლამდე რუსეთ-თურქეთის (ყირიმის) ომის დროს დ. ყიფიანი ასრულებდა ვ. ბებუთოვის სარდლობით გურია-სამეგრელოში მომქმედ რუსეთის ჯარის სალაშქრო კანცელარიის უფროსის თანამდებობას. 1856 წლის 20 თებერვლიდან 22 მაისამდე იგი მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად.

սթուտուսընտ ահա սիս ոհս. - օհպոն օսկըսծնուս և հա ծըցո -
ղիտ սթուսսն ծարսնցուպղիծս, ինչոքս օսկըսծնուս պոչ քոչկուս;
լուսկընուս հարս զօհիս: և սոչս սթուսսույնուս

սթուս ըղ և սթոն զիտուս օսկըսծնուս ծարթուս ք ծղ-ևղս, և ինչիս
ըղ պոչիս ծարթուսընտընտ ծարթը ք ծարթուս:

ուպ ծարթուս ք ծարթուս ծարթուս, և ծարթուս ըղ ինչ ծարթուս,
նիս ծարթուս, և ծղ ինչուս օսկըսծնուս ըղ ընտըսծնուս, հիսթըսկուս,
ծարթուս ըղ ինչուս:

օհպոն ծարթուսն սթուսս և սթուսսընտ սև ընտըսծնուս և օ.

Եղ ընտըսծնուս ծարթուս, և ծղ ընտըսծնուս ընտըսծնուս պոչ -
սթուսս ք ծարթուս և ընտըսծնուս սթուսս ընտըսծնուս և սթուսս ընտըսծնուս:

սի սթուսսն սև ծարթուս: ծարթուս ինչ ծարթուս ընտըսծնուս
ընտըսծնուս և ընտըսծնուս, - ծարթուս և սթուսսն ընտըսծնուս

սթուս ոչ ընտըսծնուս, սպ ընտըսծնուս և ընտըսծնուս ընտըսծնուս

օհպոն և սթուսս ք ծարթուս ընտըսծնուս

3

Թուսթըս ընտըսծնուս.

Եղ ընտըսծնուս 1879

Եղ ընտըսծնուս

և ընտըսծնուս ընտըսծնուս ընտըսծնուս

Եղ ընտըսծնուս ընտըսծնուս

რათა?—ვისიც პატივისცემა მაქვს დანერგული გულში და არა მარტო ენაზედ,—და მაშასადამე, ვინც მიყვარს, მინდა რომ იმას წუნი არ [ჰქონდეს და თუ] შევამჩნიე რამე, პირდაპირ უნდა უთ[ხრა]... [მე]გობრულად. მაგრამ—თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადივლო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი.

შრომა გაგიწევიათ დიდი; ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი. ერთი შეცთომავა, მხოლოდ ერთად ერთი: კილო—შექსპირის თხზულებაში, რ[ომე]ლიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იპოვება დაძველებული, რ[ომე]ლსაც დიდი ხანია აღარ ხმარობენ; მაგრამ კილო არის სასაუბრო; კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ.

თქვენ—უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი,—ეს ყოვლად უეჭველია,—მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკნიათ, არც სად ლაპარაკობენ.

სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის,—სხვა სრულებით არაფერი.

სრულებით არაფერი მეთქი, რომ ვამბობ, ამას აღარა ვსთვლი, რაც უთანხმოება აქა იქა გამოდის ნამდვილსა და თარგმანს შუა. მაგრამ, ლ[მერ]თო ჩემო! თქვენ რა დაგეძრახებათ, როდესაც,—ნებისთ თუ უნებლიეთ,—უფრო უნებლიეთ, რასაკვირველია,—ისეთი ჩვენთვის მიუწდომელი მწერალნიც შემცთარან, როგორც, მაგალითად, ზემოხსენებული ფრანსუა ვიკტორ ჰიუგო.

ღირი ერთ ადვილს ამბობს მსაჯულისას: ... [დაზიანებულია] ... ამისთანაები არის აქა იქა.—თქვენს თარგმანშიაც არის ზოგიერთი ამისთანა გადასხვაფერება; ჰიუგოს თარგმანში უფრო ბევრია; ლაროშისა რაღა ვთქვა: საესეა ამისთანაებით.

ახლა მე, რადგან ერთიც თვალწინ მიდგია და მეორეცა, იქნება მე უფრო გაფთხილებული გამოვიდე და გთხოვთ: თუ მაინცა და მაინც გნებავთ, რომ ღირი მე წარმოვადგინო,—ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითან მე ვსთარგმნო, ჩემებურათ,—მარტო ეს როლი.

თქვენს ნათარგმნს ამითი სრულებით არა ეზიანებარა. ბევრჯელ მომხდარა, რომ ერთი როლი ერთს ენაზედ უთამაშნიათ და სხვა როლები იმავე პიესაში სულ სხვა ენაზედ.

აქ ამისთანა არა გამოვარა: მთელი წარმოდგენა ქართულს ენაზედ იქნება,—ზოგი სასაუბროზედ, ზოგი სამწიგნობროზედ.

აგრე იყოსთქო, თუ მეტყვით, საქმეს შეგუდგები.

თქვენი სულით და გულით ერთგული დიმიტრი ყიფიანი.“

დიმიტრი ყიფიანი თავისი დროისათვის დიდად განათლებული და ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. მან ქართულისა და რუსული ენების მშვენიერ ცოდნასთან ერთად, კარგად იცოდა ევროპული ენებიც: ფრანგული, გერმანული, ინგლისური.

იგი ქართული ენისა და ლიტერატურის დიდი მოყვარული და დიდი მოამაგეც იყო. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას უდიდესი პატივისცემით აფასებდნენ. აკაკი მის შესახებ წერდა: „...იმ თავიდან ამ ბოლომდე ცოტას ჰფიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის... არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ შეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ მისის ინციატორობით არის დაწყებული“¹).

აკაკი წერეთელი, მეორეგან ექსპრომტად წარმოთქმულ ერთ ლექსში—„დ. ყიფიანის სადღეგრძელოდ“, დიმიტრი ყიფიანს შემდეგნაირად მიმართავდა:

„უფროს მოძმეებში რჩეულთაგანო,
უმცროსებისთვის სამაგალითო,
დავრდომილთათვის გულდაწყვეტილო,
სულდგმულო მხოლოდ სრულ კეთილითო!“

1886 წლის გაზაფხულზე, თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე იოსებ ლალიაშვილმა მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუღეცკი. ამ აქტის გამო, ცნობილმა შავრაზმელმა საქართველოს ეგზარხოსმა პავლე შეაჩვენა და დასწყევლა ქართველი ერი, რომელმაც წარმოშვა ჩუღეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი. მთელ ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, ამ ფაქტით აღშფოთებულმა დ. ყიფიანმა ეგზარხოს პავლეს წერილი მისწერა. იგი, სხვათა შორის, წერილში ეგზარხოსს წერდა:—„... ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მართაოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შემჩვენებელი დაუყონებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“ (იხ. ფონდი № 192).

1) იხ. აკ. წერეთელი—ჩემი თავგადასავალი, 1937 წ. გვ. 106.

8 июня 1886г.

~~Ваше Высокопреосвященство.~~
 Ваше Высокопреосвященство.

Авните არქინაწებრეკუ მისობა
 и отпущение прегрешений если я Вла
 даю в цело, убиевасица' не врозного
 иа своего но она принасьвасть Ваше
 процесение проклятие надъ страхаго,
 которую Вы призваа прети и кото
 рая, по стасу иагола ожидатъ отъ
 Васъ только любви и милосерд'я,
 какъ отъ первоуспителея и предма
 вилея Христа. Также мнѣ не
 довоовобудьств такимъ оскордѣннею
 Ваше сака, принасьвасть Ваше
 еще и на мѣрете уривитъся передъ
 наемъ въ неовѣтайной' уривовости
 процесениихъ Ваше словъ

Если все это правда, Владыко, то
 спасение достоинства Ваше
 зван'я иажесть зкислотабѣ иа
 но въ котомъкомъ удисеи' ото
 зорависа, иа оногорскаго крад

გეზარხოსისადმი ამ წერილის გავზავნით „ჩადენილ დანაშაულისათვის“ დ. ყიფიანი მეფის მთავრობამ დასაჯა და 1886 წლის 27 ოქტომბერს ქ. სტავროპოლში გადაასახლა. მთავრობის მოსყიდულმა აგენტებმა 1887 წლის 24 ოქტომბერს ღამით 73 წლის მოხუცი დ. ყიფიანი ქ. სტავროპოლში მოჰკლეს. ამ აღმაშფოთებელი მკვლელობის გამო, ილია ჭავჭავაძე იმავე თვის 30 ოქტომბრის „ივერიაში“ წერდა:—„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული—ყველანი ერთად და თვითოეული ცალკე ჰგრძნობს, რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში.“

აკაკი წერეთელიც მწუხარებით აღსავსე დ. ყიფიანის შესახებ წერდა: „... ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძვერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს!“

აკაკიმ შემდეგ 1893 წლის 3 იანვარს დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას უძღვნა ქართული პოეზიის დამამშვენებელი ლექსი—„განთიადი“. ამ ლექსში პოეტმა დ. ყიფიანს უწოდა დიმიტრი თავდადებული, მტრის ურჩი რაინდი, რომლის საშვილიშვილო სამარე დადუმებულმა მთაწმინდამ გულში ჩაიხუტა.

დ. ყიფიანის ცხედარი ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ სტავროპოლიდან სამშობლოში გადმოსვენა და თბილისში, მთაწმინდაზე დაკრძალა¹.

* *

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ამჟამად დაცულია დ. ყიფიანის პირადი საარქივო ფონდის დიდი ნაწილი. ამ არქივის მასალები, დ. ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრეთაგან სხვადასხვა დროს შევიდა ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიძველეთასაცავებში (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების—S: №№ 2443, 5332, 5333, 5334, 5335, 5336, 5337, 5338, 5339, 5340, 2341; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების—H № 1540; საეკლესიო მუზეუმის—A: №№ 1802, 1803) და უკანასკნელ დრომდე მოუწყეს ორიგენელი სახით ინახებოდა.

¹ დ. ყიფიანის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. პროფ. შ. ჩხეტიია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, 1947 წ. გვ. 329—360; მისივე, საკლესიო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950 წ. გვ. 01—012, V—VII, 8—48.

02. გ. ყიფიანის არქ. აღწ.

ამჟამად აღნიშნულ ცალკეულ კოლექციებში თავმოყრილი დ. ყიფიანის არქივის ყველა დოკუმენტი გაერთიანებულია ერთ მთლიან ფონდად, სახელწოდებით—„დ. ყიფიანის პირადი საარქივო ფონდი № 1“.

მთელ ფონდში თავმოყრილი დოკუმენტები გარჩეულია და დარგების მიხედვით სისტემატიზირებულია ექვს განყოფილებადა. განყოფილებებში თავმოყრილი დოკუმენტები კლასიფიცირებული და დალაგებულია ქრონოლოგიურად; საგან-საკითხთა მიხედვით შექმნილია ცალკეული შესანახი ერთეულები, რომელნიც თანმიმდევრობით შეტანილია საინვენტარო აღწერაში. აღწერაში შევიდა სულ 629 შესანახი საარქივო ერთეული 6640 ფურცლის რაოდენობით. ფონდში თავმოყრილი დოკუმენტები ასახავენ დ. ყიფიანის ცხოვრება—მოღვაწეობასა და XIX საუკუნის ვითარებას¹.

¹ დ. ყიფიანის არქივი (იხევე, როგორც მუხეშეში დაცული სხვა პირადი არქივები) მოწესრიგებული და აღწერაშია პროფ. შ. ჩხეტიას მიერ ამ მიზნით სპეციალურად შედგენილი წესებისა და ინსტრუქციის მიხედვით. მოგვყავს ინსტრუქციიდან ეს ადგილი:

„პირადი ფონდის მასალები შეიძლება შემდეგ მთავარ კომპლექსებად დაჯგუფდეს:

1. დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ფონდისშემქმნელის ბიოგრაფიას შეეხებიან;
2. დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავენ ფონდისშემქმნელის შემოქმედებას;
3. დოკუმენტები, რომელნიც ასახავენ ფონდისშემქმნელის ქონებრივ მდგომარეობას და მის სამეურნეო მოღვაწეობას;
4. დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ფონდისშემქმნელის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას;
5. დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენენ ფონდისშემქმნელის პირად მიმოწერას სხვადასხვა პირებთან.
6. სხვადასხვა მასალები, ფონდისშემქმნელის მიერ შეკრეფილი და
7. მასალები, რომელნიც ფონდისშემქმნელის ნათესავებს შეეხებიან.

1. ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ მ ა ს ა ლ ე ბ ს მიეკუთვნება ყველა ისეთი დოკუმენტი, რომელსაც უშუალოდ კავშირი აქვს ფონდისშემქმნელის ბიოგრაფიასთან; ფონდისშემქმნელის მიერ შედგენილი ავტობიოგრაფია, სხვა ჰარის მიერ შედგენილი მასი ბიოგრაფია, პრესაში გამოქვეყნებული ცნობები ბიოგრაფიული ხასიათისა—ფონდისშემქმნელის იუბილესთან ან სხვა გარემოებასთან (არჩევნებთან, დაჯილდოებასთან) დაკავშირებით, გეარონული, საოჯახო და პირადი დოკუმენტები, დიპლომები, პასპორტი, ატესტატები და სხვ. ამ ჯგუფის მასალები შეიძლება თავის მხრივ გაიყოს ორ ქვეჯგუფად: 1) ავტობიოგრაფიული მასალები და 2) ბიოგრაფიული მასალები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის ბიოგრაფიული მასალები, რომლებიც ფონდისშემქმნელის მიერ არის შედგენილი, ხოლო მეორეს დანარჩენი მასალები.

2. ფ ო ნ დ ის შ ე მ ქ მ ნ ე ლ ის შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ის გამოხატეულ მასალათა ჯგუფს მიეკუთვნება ის მასალები, რომელნიც მის შემოქმედებით მოღვაწეო-

აღწერილობის პირველ განყოფილებაში შევიდა ბიოგრაფიული მასალები დ. ყიფიანის შესახებ (№№ 1—72). აქ არის დოკუმენტები დ. ყიფიანის მშობლების, მისი დაბადების, სკოლაში შეყვანის, გადასახლებისა და სხვათა შესახებ.

ბას გამოხატავენ: მეცნიერული შრომები, ლიტერატურული თხზულებები, ლექციების ჩანაწერები, დღიურები, მოგონებები, საგაზეთო და საჟურნალო სტატიები, მასალები (ამონაწერები, ბიბლიოგრაფიული ცნობები, სტატისტიკური ცხრილები), რომლებიც მოუგროვებია და თავისი შემოქმედებითი მუშაობის დროს გამოუყენებია ფონდისშემქმნელს; მის ნაშრომთა კორექტურები, შესწორებანი, რეცენზიები და სხვ. ამ ჯგუფის მასალები შეიძლება გაიყოს რამდენიმე ქვეჯგუფად, მაგალითად: 1) მეცნიერული შრომები, 2) ლიტერატურული თხზულებანი, 3) ლექციები, 4) დღიურები და სხვ.

3. ფონდისშემქმნელის ქონებრივ მდგომარეობისა და მისი სამეურნეო მოღვაწეობის ამსახველთა ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი დოკუმენტები, როგორცაა, მაგალითად:

ანგარიშისა და შემოსავალ-გასავლის დავთრები, ხელშეკრულებები, გასამართლებელი დოკუმენტები, სარჩელის დოკუმენტები, პირობები, ნოტარიული ჩანაწერები და სასამართლოს განაჩენები, მამულთან და საერთოდ ქონებასთან დაკავშირებულნი, მუშა ხელის დაქირავების შესახებ ცნობები, იჯარის ქაღალდები და სხვ. ამ ჯგუფის მასალები შეიძლება გაიყოს რამდენიმე ქვეჯგუფებად საბუთების ნომინალური ნიშნების მიხედვით: 1) ანგარიშის საბუთები, 2) ხელშეკრულებები და პირობები, 3) იჯარის საბუთები და სხვა.

4. ფონდისშემქმნელის საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობის ამსახველ მასალათა ჯგუფში შევა ყველა ისეთი დოკუმენტი, რომელნიც დაახასიათებენ მის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას და რომლებიც არ შევიდნენ პირველ ჯგუფში: ფონდისშემქმნელის მიერ შედგენილი პროექტები, მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები, განმარტებები, შენიშვნები, მოსაზრებები და სხვა, რომელნიც საზოგადოებრივ საქმეებს და სახელმწიფოებრივ საკითხებს შეეხებიან. ამ ჯგუფის მასალები შეიძლება გაიყოს ორ ქვეჯგუფად: 1) მასალები საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ და 2) მასალები სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ. თავის მხრივ თვითეული მათგანი გაიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფად დარგებისა და საკითხების მიხედვით. მაგალითად: ა) გლეხთა განთავისუფლების პროექტები, ბ) დრამატიული წრის დაარსება, გ) წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესახებ და ა/შ.

5. ფონდისშემქმნელის მიმოწერაში — შევა მისი პირადი წერილები სხვადასხვა პირებთან და ამ უკანასკნელთა წერილები მასთან. ამ ჯგუფის მასალები გაიყოფა ორ ქვეჯგუფად: 1) ფონდისშემქმნელის წერილები სხვადასხვა პირებთან და 2) სხვადასხვა პირთა წერილები ფონდისშემქმნელთან. თვითეული მათგანი დანაწილდება კორესპონდენტული ნიშნების მიხედვით: ფონდისშემქმნელის წერილები *ა*-თან, *ყ*-თან, *ჯ*-თან, ან კიდევ *ა*-ის წერილები ფონდისშემქმნელთან, *ყ*-ის წერილები ფონდისშემქმნელთან და ა.შ.

6. სხვადასხვა მასალებში შევა ის მასალები, რომელთაც უშუალოდ კავშირი არა აქვს ზემოდ დასახელებულ ჯგუფებთან, მაგრამ შეგროვი-

ამ დოკუმენტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოსკოვში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის თანაგრძნობის წერილი დ. ყიფიანისადმი, მისი გადასახლების გამო. მას ამ წერილში ახალგაზრდობა შემდეგს წერდა: „...ჩვენს ყოვლად და-

ლია ფონდისშემქმნელის (ვითარცა კოლექციონერის) მიერ ფოლკლორული მასალები—თქმულებები, ლეგენდები, ხალხური ლექსები, ფოტო სურათები, კარტოგრაფიული მასალები, სხვადასხვა პირთა ნაწერები, ჰეკლესის ანაბეჭდები და სხვა. ამ ჯგუფის მასალები განაწილდება რამდენიმე ქვეჯგუფად მასალების ხასიათის მიხედვით, მაგალითად: 1) თქმულებები, 2) ლეგენდები, 3) ხალხური ლექსები, 4) ფოტო-სურათები, 5) რუკები და ა. შ.

7. ფონდის შემქმნელის ნათესავთა მასალებს მიეკუთვნებიან ის მასალები, რომელნიც შეეხებიან ფონდის შემქმნელის ნათესავობას. ასეთი მასალები შეიძლება შეგნებულად შეენახა ფონდის შემქმნელს, ან შემთხვევით მოხვედრილიყო მის ფონდში. ამისდა მიუხედავად, თუკი ასეთი მასალები აღმოჩნდება ფონდში, საჭიროა გამოიყოს ცალკე ჯგუფად. ამ ჯგუფის მასალების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს იმისდამხედვით, თუ ვისი ან რამდენი ნათესავის მასალებია დაცული ფონდში.

ზემოთ ნახევნები ჯგუფების მიხედვით მასალების სისტემატიზაციისას აუცილებელია ფონდის მთელი მასალა დამუშავდეს ტექნიკურადაც და თითოეულ მათგანს მიეცეს შესაწახ ერთეულის სახე. შესაწახი ერთეული ეწოდება იმ დოკუმენტს ან დოკუმენტთა კრებულს, რომელიც საცავში აღირიცხება ცალკე, ერთი სახელწოდების და ერთი ნომრის ქვეშ. ეს შესაწახი ერთეული შეიძლება იყოს ერთი დოკუმენტი (სიგელი, მოხსენება, წერილი, პროექტი, ხელნაწერი წიგნი, ფოტოსურათი და სხვა მისთ.), თუ ეს უკანასკნელი ისეთ განკერძოებულ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც ფონდის სხვა მასალასთან ორგანულად დაკავშირებული არ არის და არც შეიძლება სხვა მასალასთან გაერთიანდეს ისე, რომ ეს გაერთიანება ლოგიკურ მთელს წარმოადგენდეს; შესაწახი ერთეული შეიძლება რამოდენიმე დოკუმენტისაგან შესდგებოდეს („საქმე“, „კრებული“), თუ ეს უკანასკნელი თავის დროზე, წარმოების პროცესში, ერთად ყოფილან გაერთიანებული ერთ კანში (ყდაში), ერთ სათაურის (სახელწოდების) ქვეშ, ან თუ მათა გაერთიანება შეიძლება ახლა ისე, რომ ეს გაერთიანება ორგანულ მთელს წარმოადგენს.

ორივე შემთხვევაში შესაწახ ერთეულს ცალკე ყდა (პაპა, კონვერტი) უნდა გაუკეთდეს სათანადო წარწერით (ფონდის სახელწოდება და №, ერთეულის სახელწოდება, № და თარიღი); კანში მოთავსებული დოკუმენტის (დოკუმენტების) ფურცლები უნდა დინომრის და ამ კანის უკანა ფურცლის პირველ გვერდზე აღინიშნოს ფურცლების რაოდენობა. პავინაცია კეთდება ფანქრით, ხოლო წარწერები კანზე მელნით.

შესაწახ ერთეულების ნუმერაცია ერთიანი უნდა იყოს ფონდის ფარგლებში, ე. ი. ნუმერაცია უნდა დაიწყოს პირველ ნომრით და გაგრძელდეს ბოლომდე — უკანასკნელ ერთეულამდე. უკანასკნელად აღრიცხული შესაწახ ერთეულის ნომერი, ამგვარად, უნდა გამოხატავდეს ფონდში დაცულ ერთეულების საერთო რაოდენობას“.

ძაბუნებულ და სასტიკ დროში, როცა განუქიცხველად ბატონობენ მჩაგვრელნი ძალნი და სდევნიან ყოველსავე, რასაც კი ცოტაც არის ამჩნევია დამოუკიდებლობის ნიშანწყალი, როცა ასეთს იშვიათს მოვლენას წარმოადგენს მოქალაქობრივი ვაჟკაცობის გამოჩენა, პირუთვნელი გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესტკერის ყოველი ქართველი იმ დიდად საქებურსა და პატიოსანს თავგამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ეგზარხოს პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი კაცური მოვალეობა, ვითარცა საქართველოს ერთ კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა, და დაუფარავად გამოსტკვით მთელი ქართველობის დაფარული გრძნობა... სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განატყორცნი ისარი არ აცდენია მიზანს. თქვენი ქცევა ამშვენებს ჭალარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ პოეტთან ერთად, რომ „თუმცა აწმყო არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ეჭვი არ არის, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოლევია თქვენისთანა მოხუცი, „არ მომკვდარა—მხოლოდ სძინავს“, პოეტისა არ იყოს“ (იხ. ფონდი № 58).

საყურადღებოა აგრეთვე ამავე განყოფილებაში მოთავსებული მეორე დოკუმენტიც—თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის სამძიმრის წერილი დ. ყიფიანის მკვლელობის გამო. ამ დოკუმენტში, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერს ილია ქავჭავაძე, ვკითხულობთ შემდეგს: „... გარდა იმ ღვაწლისა, რომელიც განსვენებულს მიუძღვის საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის წინაშე, ჩვენის ბანკის წევრთ არ დაუვიწყრიათ და არც დაივიწყებენ, რომ თუ ბანკი არსებობს, არსებობს მისის თავგამოდებულ თავოსნობით და მხნეობითა. ვგლოვობთ მთელ საქართველოსთან ერთად დაკარგვას ერთის უკეთესის კაციას“ (იხ. იქვე № 62).

აქვეა დაცული ა. სურინის წერილი დ. ყიფიანის მკვლელობის შესახებ, გამოგზავნილი სტავროპოლიდან გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისადმი. ავტორი წერილში წერდა: „დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანის ტრაგიკულმა ისტორიამ სტავროპოლის მცხოვრებლებზე მეტად მძიმე, დამალონებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ სამწუხარო ამბავის შესახებ, როგორც კი ხმა გავრცელდა ქალაქში, ყველა აღელდა, ყველამ დაიწყო საუბარი და დღემდე ყველგან ჯერ კიდევ ამაზე ლაპარაკობენ. ვგონებ, მთელი ქალაქი მივიდა შემთხვევის ადგილას... სადაც ეს სამწუხარო ისტორია მოხდა“ (იხ. იქვე № 65).

მეორე განყოფილებაში თავმოყრილი მასალები ასახევენ დ. ყიფიანის შემოქმედებით მოღვაწეობას (№№ 73—124). მათ შორის აღსანიშნავია: „ყაზარმობა ანუ საქმე 1832 წლის ქართველთა შეთქმულობაზე“ (ავტოგრაფი, რუსულად); ამავე თხზულების ქართული თარგმანი, კოტე ყიფიანის მიერ შესრულებული 1893 წელს; „წვრთენა სულისა“ (ქართული თარგმანი); ბომარშეს ხუთმოქმედებიანი კომედია—„ფიგაროს ქორწილი“ (ქართული თარგმანი, შესრულებული დ. ყიფიანის მიერ); სტატია გაზეთ „კავკაზში“ (№ 348) მოთავსებულ იანოვსკის წერილის საპასუხოდ, სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ; წერილი გაზეთ „დროების“ რედაქტორისადმი, იანოვსკის წინააღმდეგ ქართული ენის სწავლების შესახებ; მოთხრობა—„გურიის უკანასკნელი მთავრის ასული ეკატერინე ჩიჩუა“; ნარკვევი—„ადგილ-მამულთა მდგომარეობა საქართველოში“; წერილი დავით ჩუბინაშვილისადმი, დ. ყიფიანის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკის შესახებ; წერილი გაზეთ „დროების“ რედაქტორისადმი ბანკის შესახებ; შოსაზრებანი იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ შესახებ და სხვ.

მესამე განყოფილებაში წარმოდგენილია დ. ყიფიანის სამეურნეო საქმიანობისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 125—155).

მეოთხე განყოფილებაში თავმოყრილია ისეთი მასალები, რომლებიც ასახევენ დ. ყიფიანის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას (№№ 156—192). მათ შორის აღსანიშნავია: მიმოწერა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ; მასალები რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში დ. ყიფიანის საქმიანობის შესახებ; მიმოწერა დ. ყიფიანსა და მთავრობის დაწესებულებებს შორის ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის შესახებ (აქვეა მისი მოსაზრებანი და პროგრამა ჟურნალის მომავალი მუშაობისა და დანიშნულების შესახებ); დოკუმენტები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში დ. ყიფიანის საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ; ილია ჭავჭავაძის წერილი დ. ყიფიანისადმი მილოცვით ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად მისი არჩევის გამო. ილია ამ წერილში უდიდესი კმაყოფილებით დ. ყიფიანს სწერდა: „სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ... თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოდ ჩვენთვის, დარწმუნებუ-

ლი ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადემატება“... (იხ. ფონდი № 188).

ამ წერილით აღფრთოვანებული დ. ყიფიანი სამადლობელ წერილში ილიას სწერდა: „... გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა და გულდამწვდებელი მოველი ხეობიდან გამომხაურებას.“

მაშინ იმის იმედიც მექნება, რომ საზოგადოებას საწუხრად მაინც არ დაურჩეს ჩემი წინ წამოყენება და არც თქვენ დაგანებიანოთ აგრეთი მხურვალე მოლოცვა“ (იხ. იქვე, № 188).

აქვეა: დ. ყიფიანის სიტყვა, თქმული სენაკის სააზნაურო სკოლაში სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე; წერილი საქართველოს ეგზარხოს პავლესადმი, თბილისის სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის გამო ეგზარხოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ.

ამავე განყოფილებაში ცალკე გამოყოფილია მასალები საგლხო რეფორმის შესახებ (№№ 193—234). მათგან აღსანიშნავია: მოხსენებითი ბარათი „მთავრობის ღონისძიებათა შესახებ, ქართველ მემამულეთა და გლეხთა შორის ურთიერთობის გამოსარკვევად“; მასალები ბატონყმობაზე საქართველოში; დებულება ყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხთათვის საქართველოში, შედგენილი დ. ყიფიანის მიერ; დ. ყიფიანის აზრი ბატონყმობის გაუქმების შესახებ; მასალები საგლხო რეფორმის პროექტისათვის; „შეკრება ოცდაერთის პაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“, შედგენილი დ. ყიფიანის მიერ 1863 წ.; დ. ყიფიანის მოხსენება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებებზე გლეხთა განთავისუფლების შესახებ და სხვ.

ამავე განყოფილებაშია დ. ყიფიანის სამსახურებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები (№№ 235—307). მას მიჰყვება ცალკე თავმოყრილი დოკუმენტები სამეგრელოს სამთავროს შესახებ (№№ 308—349).

მეხუთე განყოფილებაში წარმოდგენილია მიმოწერა: კერძო პირთა წერილები დ. ყიფიანისადმი და მისი წერილები სხვებისადმი (№№ 350—591). მათ შორის შეიძლება აღინიშნოს: დ. ყიფიანის წერილები გრ. ორბელიანისადმი, კოტე ყიფიანის, მიხ. თუმანიშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ნიკო ცხვედაძის, იონა მეუნარგიას და სხვათა წერილები დ. ყიფიანისადმი; ნინო ჭავჭავაძე-ვრიბოედოვას წერილები ნინო ყიფიანისადმი და სხვ.

ამ წერილებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ნ. ცხვედაძის წერილი დ. ყიფიანისადმი. 1881 წლის აპრილში ქართველი პედაგოგი ნიკო ცხვედაძე პეტერბურგში დროებით მყოფ დ. ყიფიანს წერილით ატყობინებდა სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკის დანაშაულებრივ ბოროტმოქმედების შესახებ, ხალხის სწავლა-განათლების საქმეში. ამ წერილში ნ. ცხვედაძე თხოვდა დ. ყიფიანს მიეღო სათანადო ზომები იანოვსკის წინააღმდეგ. წერილის ბოლოს იგი დასძენდა: „როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ამისათვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერას მოქმედებით ჩვენი სამშობლოს საქმე გაასწოროთ“ (იხ. იქვე № 551).

მეექვსე განყოფილებაში ცალკე გამოყოფილია დ. ყიფიანის მიერ შეკრებილი სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც თავიანთი ხასიათითა და მნიშვნელობით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ (№№ 592-629).

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საარქივო ფონდის აღწერილობაში წარმოდგენილი დოკუმენტები ამუქებენ, დ. ყიფიანის მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად, საქართველოს XIX საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს: ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკისა და მის წინააღმდეგ ბრძოლას—განათლების, პრესისა და ლიტერატურის დარგში, საგლეხო რეფორმის გატარების საქმეში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მმართველობის დარგში და სხვ.

ქართული კულტურის მდიდარი წარსული მემკვიდრეობის დაცვის, შენახვისა და ათვისების საქმეში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივ-კულტურული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით შექმნილმა საარქივო ფონდმა, რომლის აღწერილობაც არის აქ წარმოდგენილი.

ჩვენი დიდი სამშობლოს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკით აღორძინებულმა საქართველოს კულტურულმა განძეულობამ საბჭოთა ხელისუფლების დროს უდიდესი გამოყენება პოვა. „წარსულის ყველა კულტურული ღირებულება, რაც წინათ გადამალული იყო, ახლა გამოყენებულია საბჭოების ქვეყნის მშრომელთა სამსახურისათვის“ (ლ. ბერი ა).

1. ბიოგრაფიული მასალები

1

1819 წლის ნოემბრის 28.—ქაიხოსრო ყიფიანის თხოვნა გორის მაზრის უფროსის დომენტი ტიტოვისადმი ყმისა და მამულის დაბრუნების შესახებ. დედანი, ქართულად, ხელით ნაწერი. ფ. 1.

2

1832 წლის ოქტომბრის 3.—მოწმობა (№ 691) დ. ყიფიანის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ თბილისის გიმნაზიაში. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

3

1844 წლის თებერვლის 25.—მოწმობა ნინო იაგორის ასულ კილაშვილის სახელზე (№ 192) წმ. ეკატერინეს ორდენის სასწავლებლის დამთავრების შესახებ. ტრაფარეტულ ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი. დედანი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

4

1845 წლის სექტემბრის 28.—ამიერკავკასიის მთავარმმართველობის მიმართვა (№ 5103) დ. ყიფიანისადმი ამავე მმართველობის კანცელარიის დირექტორად მისი დანიშვნის შესახებ. დედანი, ოფიციალურ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

5

1845 წლის დეკემბრის 27.—შუამდგომლობა მეფისნაცვლის საბჭოს საქმეთამმართველად დ. ყიფიანის დამტკიცების შესახებ. პირი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 1.

6

1845 წლის დეკემბრის 31.—კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მიმართვა (№ 411) პეტრე ანტონის-ძე ლადინსკისადმი მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთამმართველად დ. ყიფიანის დამტკიცების შესახებ. დედანი, ოფიციალურ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

7

1846 წლის ივნისის 30.—სიგელი (№ 2532) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

8

1848 წლის ოქტომბრის 16.—სიგელი (№ 155) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წარჩინების ნიშნით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

9

1848 წლის დეკემბრის 21.—სიგელი (№ 2705) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

10

1850 წლის იანვრის 31.—კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მიმართვა (№ 974) დ. ყიფიანისადმი სახელმძღვანელოთა შემდგენ კომიტეტის წევრად მისი დამტკიცების შესახებ. დედანი, ოფიციალურ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

11

1850 წლის თებერვლის 17.—კავკასიის სასწავლო ოლქის მიმართვა (№ 304) დიმ. ყიფიანისადმი იმავე ოლქის მზრუნველის სამმართველოსთან არსებულ სახელმძღვანელოთა შემდგენ კომიტეტის წევრად მისი დანიშვნის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე რუსულად. ფ. 1.

12

1852 წლის აპრილის 16.—მოწმობა (№ 1551) დიმიტრი ყიფიანის რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრ-თანამშრომლად არჩევის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 2.

13

1852 წლის აპრილის 18.—ამიერ-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის მიმართვა (№ 1882) დ. ყიფიანისადმი სა-

განგებო საშტატო კომისიაში მისი დანიშვნისა და ამის გამო პირდაპირი მოვალეობისაგან დროებით მისი განთავისუფლების შესახებ. დედანი, ოფიციალურ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

14

1852 წლის ივნისის 6.—კავკასიის ცალკე კორპუსის ობერ მღვდლის მიმართვა (№ 1552) დ. ყიფიანისადმი უკანასკნელის შეილის—ნიკოს დაბადებისა და ნათლობის მოწმობის გაგზავნის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

15

1852 წლის სექტემბრის 29.—სიგელი (№ 774) დ. ყიფიანის წარჩინების ნიშნით დაჯილდოების შესახებ. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

16

1852 წლის ოქტომბრის 15.—სიგელი (№ 1614) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

17

1855 წლის სექტემბრის 9.—კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის დროებით შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტის ბებუთოვის მიმართვა (№ 2208) დ. ყიფიანისადმი საგანგებო დროებით კომისიაში მისი დანიშვნის შესახებ. დედანი, ოფიციალურ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

18

1856 წლის მაისის 22.—კავკასიის მეფისნაცვლის მიმართვა (№ 1980) დ. ყიფიანისადმი მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა-მმართველის თანამდებობაზე ხელახლად მისი დანიშვნის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

19

1857 წლის იანვრის 10.—იმპერატორ ალექსანდრე II სიგელი (№ 11) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. სტანისლავის პირ-

ველი ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

20

1857 წლის აგვისტოს 21.—მოწმობა (№ 1293) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ მედალით გიორგის ლენტზე. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

21

1857 წლის ოქტომბრის 28.—სიგელი (№ 295) დ. ყიფიანის 23 წლის სამსახურისათვის წარჩინების ნიშნით დაჯილდოების შესახებ. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

22

1858 წლის იანვრის 11.—კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის ვ. ბებუთოვის მიმართვა (№ 45) დ. ყიფიანისადმი სპარსეთის ლომისა და შუის პირველი ხარისხის ორდენით მისი დაჯილდოების შესახებ. დედანი, რუსულად. თბილისი. ფ. 1. მიმართვას თან ერთვის: აღნიშნულ ორდენით დაჯილდოების შესახებ ბრძანების სიგელი („ფირმანი“) (№ 106) რუსულად და სპარსულად. 25.V.1857 წ. ფ. 1.

23

1858 წლის იანვრის 28.—თბილისის სამხედრო გუბერნატორის მიმართვა (№ 823) დიმ. ყიფიანისადმი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად მისი დამტკიცების შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის მიერ. დედანი, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, რუსულად. ფ. 1.

24

1858 წლის იანვრის 29.—ამიერ-კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს კანცელარიის მიმართვა (№ 125) დ. ყიფიანისადმი, წარჩინების ნიშნითა და სიგელით მისი დაჯილდოების შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

25

1858 წლის დეკემბრის 21.—კავკასიის მეფისნაცვლის მიმართვა (№ 5546) დ. ყიფიანისადმი, ხელახლად შექმნილ საბჭოს წევ-

რად მისი დანიშვნის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

26

1860 წლის მარტი.—ივანე ციმაკურიძის ახსნა-განმარტება სურამის უბნის მოსამართლისადმი გიორგი კიკნაძის საჩივრის გამო. შავი, რუსულად. სოფ. ქვიშხეთი. ფ. 2.

27

1860 წლის აგვისტოს 30.—იმპერატორ ალექსანდრე II სიგელი დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით. პირი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. ცარსკოე სელო. ფ. 1.

28

1860 წლის აგვისტოს 30.—იმპერატორ ალექსანდრე II სიგელი (№ 221) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. ცარსკოე სელო. ფ. 1.

29

1860 წლის აგვისტოს 30.—კავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველის ვ. ბუტკოვის მიმართვა (№ 1212) დ. ყიფიანისადმი მისი დაჯილდოების შესახებ წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

30

1860 წლის ნოემბრის 16.—კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ-მმართველობის საერთო საქმეთა დეპარტამენტის მიმართვა (№ 7919) დ. ყიფიანისადმი წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენის სიგელის მისთვის გაგზავნის შესახებ. დედანი, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

31

1863 წლის იანვარი.—დ. ყიფიანის ჩანაწერი მის ნათლულთა ვინაობისა და მონათვლის დროის შესახებ. ავტოგრაფი. კანკრით ნაწერი, ქართულ-რუსულად. ფ. 1.

32

1863 წლის ივნისის 22.—კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ-მმართველობის საერთო საქმეთა დეპარტამენტის მიმართვა (№ 4224) დ. ყიფიანისადმი მისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად, თბილისი. ფ. 2.

33

1864 წლის თებერვლის 17.—გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ციცი-შვილის სიტყვა თავადაზნაურთა შეკრებაზე დ. ყიფიანის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად არჩევის გამო. ავტოგრაფი, ქართულად. თბილისი. ფ. 2.

34

1864 წელი.—მილოცვის დეპეშები დ. ყიფიანის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლად არჩევის გამო. ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 4. საქმეში დაცულია:

1) განგესოვისა და კონსტ. ნიჟარაძის დეპეშა. 17.II.1864 წ. ფ. 1.

2) ფონ-ველკეს დეპეშა. 18.II.1864 წ. ფ. 1.

3) ალექსანდრე ბუტყიაშვილის დეპეშა. 22.II.1864 წ. ფ. 1.

4) ირაკლი ლორთქიფანიძის დეპეშა. 25.II.1864 წ. ფ. 1.

35

1864 წლის ივნისის 30.—თელავის მაზრის თავადაზნაურთა კოლექტიური წერილი დ. ყიფიანისადმი ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში მის მიერ შეტანილ მოსაზრების მოწონების შესახებ. დედანი, რუსულად, უცნობი ხელით. ქ. თელავი. ფ. 2.

36

1864 წლის ივლისის 12.—დ. ყიფიანის მიერ გაცემული მოწმობა (№ 24) თავისი შვილის ნიკო ყიფიანის პეტერბურგში გაგზავნის შესახებ უნივერსიტეტში შესასვლელად. შავი, ავტოგრაფი, რუსულად. სოფ. ქვიშხეთი. ფ. 1.

37

1864 წლის ნოემბრის 8.—იმპერატორ ალექსანდრე II სიგელი (№ 424) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ. ანას პირველი

ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. აქვეა მისი პირი. ფ. 2.

38

1864 წლის დეკემბრის 4.—კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ-მმართველობის მიმართვა (№ 9471) დ. ყიფიანისადმი მისთვის უმაღლესი სიგელის გადაგზავნის შესახებ წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენის ბოძებაზე. დედანი, ხელით ნაწერი ოფიციალურ ბლანკზე, რუსულად. თბილისი. ფ. 1.

39

1865 წლის მაისის 13.—კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსის ბარონ ნიკოლაის მიმართვა (№ 278) დ. ყიფიანისადმი ოქროს მედალით მისი დაჯილდოების შესახებ. დედანი, ნაბეჭდი, რუსულად (ტრაფარეტი). თბილისი. ფ. 1 (მიმართვის აშიაზე მიწერილია დ. ყიფიანის მერ: „Медаль получил Д. Кипиани“).

40

1865 წლის ნოემბრის 26.—პასპორტი, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მიერ გაცემული დიმიტრი ყიფიანისადმი, ოთხი თვის ვადით საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. ნაბეჭდი ბლანკი, ხელით შევსებული. დედანი, რუსულად და გერმანულად. ფ. 2.

41

1866 წლის იანვრის 2.—რეესტრი (№ 1) დ. ყიფიანისთვის საზღვარგარეთ გაგზავნილ პაკეტთა. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 2.

42

1866 წლის იანვრის 2.—დ. ყიფიანის საზღვარგარეთ (პარიზს) გასამგზავრებელი პასპორტი (მოწმობა) (№ 487/2). დედანი, ტრაფარეტულ (ნაბეჭდ) ბლანკზე, ხელით შევსებული რუსულად, გერმანულად და ფრანგულად. პეტერბურგი. ფ. 2.

43

1866 წლის ნოემბრის 8.—იმპერატორ ალექსანდრე II უმაღლესი სიგელი (№ 446) დ. ყიფიანის დაჯილდოების შესახებ წმ.

ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენით. დედანი, ნაბეჭდ ბლანკზე. ხელით ნაწერი, რუსულად. პეტერბურგი. ფ. 1.

44

1867 წლის მაისის 28.—კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსის ბარონ ნიკოლაის მიმართვა (№ 494) დ. ყიფიანისადმი წარჩინების ნიშნით მისი დაჯილდოების შესახებ. დედანი, რუსულად, ნაბეჭდი (ტრაფარეტი). თბილისი. ფ. 1.

45

1870 წლის აპრილის 15.—კამერგერ ტალზანის მიმართვა დ. ყიფიანისადმი სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ვაჩნაძის მიწვევის შესახებ 17 აპრილს დიდი მთავრის ბანკეტზე. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 1.

46

1870 წლის ივლისის 16.—თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლის დეისტეტიელნი სტატსკი სოვეტნიკის დიმიტრი ყიფიანის ნამსახურობითი სია (1830—1870 წ-მდე), პირი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 14.

47

[1871 წლის სექტემბრის 22].—მისაწვევი ბარათი დიმ. ყიფიანის სახელზე თბილისის ქალაქის საზოგადოების მიერ მუშტაიდში იმპერატორ ალექსანდრე II საპატივსაცემოდ გამართულ საღამოზე მისი მიწვევის შესახებ. ნაბეჭდი (ტრაფარეტი), რუსულად. ფ. 2.

48

1876 წლის ივლისის 4.—დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებზე მზრუნველ საზოგადოების კავკასიის საოლქო სამმართველოს ოფიციალური მიმართვა დ. ყიფიანისადმი (№ 188) ამავე საზოგადოების წევრად მისი არჩევის შესახებ. დედანი. საზოგადოების ბლანკზე ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 1.

49

1876 წლის ოქტომბრის 6.—ქანდარმოთა ცალკე კორპუსის პოდპოლკოვნიკ ორლოვსკისა და სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგის ბარტენევის დადგენილება (№ 4) დ. ყიფიანის ქალიშვი-

ლის ელენეს გაჩხრეკის შესახებ. პირი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 1.

50

1879 წლის ივნისის 30.—დაქრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებზე მზრუნველ საზოგადოების მთავარმმართველობის მიერ გაცემული მოწმობა (№ 3184) დ. ყიფიანისათვის წითელი ჯვრის ნიშნის ბოძების შესახებ. დედანი, დაბეჭდილი ბლანკი, ხელით შევსებული. რუსულად. ფ. 1.

51

1880 წლის მაისის 14.—დიმ. ყიფიანის თხოვნა იმპერატორ ალექსანდრე II სახელზე სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხაზით სამსახურში კვლავ მისი გამწესების შესახებ. შავი, ავტოგრაფი, რუსულად, მელნით ნაწერი. ფ. 1.

52

1880 წლის ნოემბრის 17.—კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსის პეშჩუროვის წერილი დ. ყიფიანისადმი ანტონ ლორთქიფანიძის, ელენე ლორთქიფანიძისა და ნიკოლოზ ყიფიანის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის საბჭოდან გარიცხვის შესახებ მათი არაკეთილსაიმედობის გამო, № 152. დედანი, რუსულად. თბილისი. ფ. 2 (საბუთის პირველ გვერდზე, ზემო აშიაზე, დ. ყიფიანის ხელით ფანქრით: „I дек. 1880 г.“).

53

1880 წლის დეკემბრის 5.—დ. ყიფიანის წერილი მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროს პ. პეშჩუროვისადმი ანტონ ლორთქიფანიძის, ელენე ლორთქიფანიძისა და ნიკოლოზ ყიფიანის კეთილსაიმედობის შესახებ. შავი, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, რუსულად. ფ. 2.

54

1881 წლის ივნისის 30.—ცნობა დიმ. ყიფიანის ხელფასის შესახებ 1859—1868 წლებისა, გადაცემული მის მიერვე ფედორ არტემის ძე სმირნოვისადმი. დ. ყიფიანის ავტოგრაფი, შავი, ფანქრით ნაწერი, რუსულად, ქართული მინაწერით. ფ. 1.

55

[1884 წლის] იანვრის 23.—მ. ამბარდანიოვის წერილი დ. ყიფიანისადმი პენსიის თაობაზე ცნობის გაცემის შეუძლებლობის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 1.

56

1884 წლის იანვრის 26.—დიმ. ყიფიანის წერილი პ. პეშჩუროვისადმი პენსიის თაობაზე ცნობის გაცემის შესახებ. შავი, ავტოგრაფი, რუსულად. ფ. 1.

57

1886 წლის თებერვლის 8.—სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საერთო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მიმართვა (№ 1722) დ. ყიფიანისადმი აღნიშნულ სამინისტროში სამსახურიდან მისი განთავისუფლების შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი სამინისტროს ოფიციალურ ბლანკზე (საბუთის პირველ გვერდზე დ. ყიფიანის ხელით ფანქრით მინაწერი: „Уведомить его пр-ство Владимира Григорьевича о получении и благодарить за извещение. А в свое время отметить в моем формуляре“). ფ. 1.

58

[1886 ან 1887 წელი].—მოსკოვში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობის თანაგრძნობის წერილი დ. ყიფიანისადმი მისი გადასახლების გამო. უთარილო. დედანი, ხელით ნაწერი, ქართულად (საბუთის პირველ გვერდზე ზემო აწიაზე მწვანე ფანქრით: „გავგზავნე რედაქციაში“). ფ. 1.

59

[1887 წლის ოქტომბრის 25 და 30 შუა].—სტავროპოლის გუბერნატორის კანცელარიის საქმეთა მმართველის წერილის ნაწყვეტი დ. ყიფიანის ნეშტის გადმოსვენებაზე ნებართვის მიღების შესახებ. უთარილო. დედანი, ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 1.

60

1887 წლის ოქტომბრის 27.—ანდრია ლულაძის სამძიმრის წერილი დ. ყიფიანის ასულ ელენესადმი დ. ყიფიანის გველელობის

გამო. დედანი, ავტოგრაფი, ქართულად, შავ აშია შემოვლებულ ქალაქზე ნაწერი. თბილისი. ფ. 2 (იქვეა ამ წერილის კონვერტიც, შავი აშია შემოვლებული წარწერით: „Заказной. Ее сиятельству Елене Димитревне Лордкипанидзе. Через ст. Михайлово, (Зак. ж. дор.) в сел. Квишхети“).

61

1887 წლის ოქტომბრის 27.—ექიმ პ. სკლოტოვსკის წერილი დ. ყიფიანის ხსოვნისადმი („Памяти Д. И. Квициани.“). დედანი, ავტოგრაფი, რუსულად. ფ. 2.

62

[1887 წლის ოქტომბრის 28].— თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის სამძიმრის წერილი დ. ყიფიანის მეუღლის ნინო იაგორის-ასულ ყიფიანისადმი. უთარილო. დედანი, ქართულად, შავ აშია შემოვლებულ ქალაქზე (წერილთან ერთად დაცულია მისი კონვერტიც, შავი აშია შემოვლებული, წარწერით: „მათს მალალაღმატებულებას ნინო გიორგის ასულს ყიფიანისას. სოფ. ქვიშხეთს“). ფ. 1 (წერილზე ხელს აწერენ: „თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა დავით ყიფიანი,“ „თავმჯდომარე ბანკის მართველობისა თავადი ილია ჭავჭავაძე,“ „თავადი დავით ავალიანი“, „Тариел Джандиери“, „თავადი ალ. ჩოლოყაშვილი“, „ი. მაჩაბელი“).

63

[1887] წლის ოქტომბრის 29.—უცნობი პირის [ვ. აბაშიძე (?)] წერილი ანტონ ლორთქიფანიძისადმი დ. ყიფიანის მკვლელობის შესახებ. დედანი, ხელით ნაწერი, ქართულად. ფ. 2.

64

1887 წლის ოქტომბრის 30.—ქ. სტავროპოლის აფთიაქის მმართველის ანგარიში დ. ყიფიანის გვამის შემურვისათვის გაცემულ მედიკამენტებისა. დედანი, აფთიაქის ბლანკზე ხელით ნაწერი. რუსულად. ფ. 1.

65

[1887 წლის] ოქტომბრის 31.—გაზეთ „ნოვოე ობოზრენიესათვის“ ა. სურინის მიერ გამოგზავნილი წერილი დ. ყიფიანის მკვლე-

ლობის შესახებ სტავროპოლში („Ставрополь—Кавказский. 31 октября. Корреспонденция „Нового Обозрения“). უთარიღო, რუსულად. დედანი, რედაქტორის მიერ გასწორებული. ფ. 2 (ბოლოში ს. ხუნდაძის მიერ წითელი ფანქრით მიწერილია: „ეს დოკუმენტი აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძის არქივში“).

66

1887 წლის ნოემბრის 2.—ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობის სამდიუმრის წერილი დ. ყიფიანის მეუღლე ნინოსადმი დ. ყიფიანის სიკვდილის გამო. დედანი, დრამატიულ საზოგადოების შტამპიან ქაღალდზე გიორგი თუმანიშვილის ხელით ნაწერი და მისივე ხელმოწერით, ქართულად. ფ. 1.

67

1887 წლის ნოემბრის 7.—მერაბ ლორთქიფანიძის სამდიუმრის წერილი დ. ყიფიანის ასულ ელენესადმი დ. ყიფიანის მკვლელობის გამო. დედანი, ავტოგრაფი, ქართულად. ქუთაისი. ფ. 2.

68

1887 წლის ნოემბრის 11.—ექიმ ბლაჟევიჩის წერილი კოტე ყიფიანისადმი სტავროპოლიდან დ. ყიფიანის ცხედრის ბალზამირებისათვის ჰონორარის მიცემის შესახებ. დედანი, ავტოგრაფი, რუსულად. სტავროპოლი. ფ. 1.

69

1887 წლის ნოემბრის 13.—მთავარმართებელ დონდუკოვკორსაკოვის წერილი შინაგან საქმეთა მინისტრ ტოლსტოისადმი დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას მომხდარი ამბების შესახებ. პირო, მანქანაზე დაბეჭდილი, რუსულად. ფ. 4.

70

1887 წელი.—სამგლოვიარო დებეშები დ. ყიფიანის გარდაცვალების გამო. ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 13. საქმეში დაცულია:

1) ი. მეუნარგიას დებეშა დ. ყიფიანის მეუღლე ნინოსადმი. ახალ სენაკიდან. 26.X.1887 წ. ფ. 1.

2) ნაზაროვას დებეშა დ. ყიფიანის ოჯახისადმი. დუშეთიდან. 26.X.1887 წ. ფ. 1.

- 3) დიმიტრი დადიანის დეპეშა ანტონ ლორთქიფანიძისადმი. ქუთაისიდან. 30.X.1887 წ. ფ. 1.
- 4) ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეების დეპეშა დ. ყიფიანის მეუღლე ნინოსადმი. ქუთაისიდან. 31.X.1887 წ. ფ. 1.
- 5) ანტონ [ლორთქიფანიძის] დეპეშა ნიკო ყიფიანისადმი. თბილისიდან. 1.XI.1887 წ. ფ. 1.
- 6) მისგანვე დეპეშა ნიკო ყიფიანისადმი. თბილისიდან. 1.XI.1887 წ. ფ. 1.
- 7) დავით და ალექსანდრე ერისთავების დეპეშა დ. ყიფიანის მეუღლე ნინოსადმი. კასპიდან. 1.XI.1887 წ. ფ. 1.
- 8) ნიკო ყიფიანის დეპეშა სურამში ანჩაბაძისადმი. ბათუმიდან. 1.XI.1887 წ. ფ. 1.
- 9) ნიკო ციციშვილის დეპეშა დ. ყიფიანის მეუღლე ნინოსადმი. ქარელიდან. 2.XI.1887 წ. ფ. 1.
- 10) ანტონ ლორთქიფანიძის დეპეშა დ. ყიფიანის ოჯახისადმი. სურამიდან. 4. XI. 1887 წ. ფ. 1.
- 11) კოტე ყიფიანის დეპეშა ოჯახისადმი. თბილისიდან. 4.XI.1887 წ. ფ. 1.
- 12) ზურაბ და ივლიტა ყიფიანების დეპეშა ელენე ლორთქიფანიძისადმი. ქუთაისიდან. 6.XI.1887 წ. ფ. 1.
- 13) იოსებ, მინადორა და მიხა ბერიძეების დეპეშა ელენე ლორთქიფანიძისადმი. ქუთაისიდან. 6.XI.1887 წ. ფ. 1.

71

1887 წლის ნოემბრის 5.—აღმასხან ნიჟარაძის სამძიმრის წერილი დ. ყიფიანის მეუღლე—ნინოსადმი დ. ყიფიანის გარდაცვალების გამო. ქუთაისიდან. 5.XI.1887 წ. დედანი, ხელით ნაწერი, ქართულად. ფ. 1.

72

[1887 წლის XI.]—ანტონ ლორთქიფანიძის წერილი დ. ყიფიანის ასულ ელენესადმი დ. ყიფიანის დაკრძალვის შესახებ. უთარილო. ავტოგრაფი, დედანი, ქართულად. ფ. 2.

2. შემოქმედების ამსახველი მასალები

73

1836 წლის აპრილის 7.—დ. ყიფიანის „თარგმანის ცდები გერმანულ-ფრანგულიდან რუსულად“ („Опыт в переводах с немецкого и французского языков на русский, чиновника 10-го класса Дмитрия Кипианова“: „Der humane mann“ და „Pierre le grand, empereur de Russie“). ავტოგრაფი, გერმანული, ფრანგული, რუსული. ფ. 4.

74

1840 წლის დეკემბერი.—დ. ყიფიანის მოთხრობა „გურიის უკანასკნელი მთავრის ასული ეკატერინე ჩიჩუა“ („Княгиня Екатерина Чичуа, дочь последнего владетельного князя Гурии“). დედანი (დ. ყიფიანის ხელრთვა ავტოგრაფია). უცნობი ხელით გადაწერილი, რუსულად. ალაგ-ალაგ ავტორის ხელით გასწორებული. თბილისი. ფ. 22.

75

[1840-იანი წლები]—დ. ყიფიანის ნარკვევი „ადგილ-მამულთა მდგომარეობა საქართველოში“ („Состояние имений в Грузии“). შავი, უცნობი ხელით გადაწერილი, ალაგ-ალაგ ავტორის ხელით გასწორებული. რუსულად. ბოლო ნაკლული. ფ. 8.

76

[1840-იანი წლები].—დ. ყიფიანის ნარკვევი (დასაწყისი)—„ადგილ-მამულთა მდგომარეობა საქართველოში“ („Состояние имений в Грузии“). შავი, ავტოგრაფი, რუსულად. ფ. 2.

77

1854 წლის ივნისის 28.—დ. ყიფიანის წერილი გაზ. „კავკაზის“ რედაქტორის ევგრაფ ალექსის-ძე ვერდერევესკისადმი დასახელებულ გაზეთში თანამშრომლობაზე უარის თქმის შესახებ. შავი, უცნობი ხელით ნაწერი, რუსულად. ფ. 2.

78

[1859 წლის მაისის 7].—დ. ყიფიანის თარგმანი ფრანგულიდან რუსულად ა. ბარიატინსკის თხზულებისა კავკასიის შესახებ („Перевод с французского сочинения кн. А. И. Барятинского“). შავი, ავტოგრაფი. ფ. 10.

79

[1862 წელი].—თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ამბავი („Анчабадзе-Иналипа“), ჩაწერილი დ. ყიფიანის მიერ ავტოგრაფი (?), ქართულად. ფ. 5.

80

1865 წლის ოქტომბრის 7.—დ. ყიფიანის სტატია კატკოვის საპასუხოდ („Еще по поводу передовой статьи 194 № „Мос. едомостей“), დაბეჭდილი გაზ. „კავკაზში“ (№83, 1865 წ.). შავი, ავტოგრაფი, რუსულად. ფ. 13.

81

1866 წლის თებერვალი 3/15.—დ. ყიფიანის წერილი სამეგრელოს მთავრის დადიანის შესახებ („Premier article de la gazette „l'Événement“ par Mr Ville messan №103). დედანი, ავტოგრაფი. ფ. 2.

82

1872 წლის იანვრის 15.—დ. ყიფიანის თარგმანი—„ვენეციელი ვაჭარი“ (IV და V მოქმედება). შავი, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, ქართულად. თავნაკლული. ფ. 13.

83

[1870-იანი წლები].—დ. ყიფიანის ნარკვევი „ზოგი რამ ბორჯომის ისტორიიდან“ („Кое-что из истории Боржома“), გადაწერილი [კოტე ყიფიანის] ხელით. ბოლო ნაკლული. ფ. 22.

84

[1870-იანი წლები].—დ. ყიფიანის ლექსი (უსათაურო) „როს შერიყევა ზღუამწარის წყლისა“. შავი, ავტოგრაფი, ქართულად, ფანქრით ნაწერი. ფ. 1.

85

[1870-იანი წლები].—გრამატიკული შენიშვნები: „სახელი არსებითი“ და სხ. არასრული, ქართულად. უთარილო. ფ. 4.

86

1879 წლის აპრილის 12.—ბომარშეს „ფიგაროს ქორწილი“, ხუთმოქმედებიანი კომედია. ფრანგულიდან დ. ყიფიანის მიერ ქართულად თარგმნილი. დედანი, მთარგმნელის ავტოგრაფი. სრული. უკანასკნელი 1 ფ. ფანქრით ნაწერი. ფ. 41.

87

1879 წლის ოქტომბრის 11.—ფრაგმენ დ იალოგისა დ. ყიფიანის ხელით (შელნით) ნაწერი. იწყება: „გახსოვს თეიმურაზ! სანადიროთ რომ ვიყავით“... წყდება:—„მამახლა გულდამშვიდებულსა გკითხავ: ხურობა და კალატოზობა, ესე იგი, ქართული ენა შენ იცი; ილიამ იცის; იაკობმაც იცისო, ამბობენ“... ალაგ-ალაგ დ. ყიფიანის ხელითვე გადასწორებული ფანქრით. ქართული. ფ. 1.

88

1879 წლის ნოემბრის 14.—დ. ყიფიანის წერილი გაზ. „კავკაზის“ რედაქტორისადმი („Господину редактору газеты „Кавказ“) გაზეთის № 247-ში დაბეჭდილ ნ. ი. ნიკოლაძის სტატიის გამო, ქალაქის თვითმართველობის შესახებ. შავი, ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი, რუსულად. სოფ. ქვიშხეთა. ფ. 2.

89

1880 წლის დეკემბრის 7.—დ. ყიფიანის წერილი გაზეთ „დროების“ რედაქტორისადმი, იანოვსკის წინააღმდეგ, ქართული ენის სწავლების შესახებ. დედანი, ავტოგრაფი, ქართულად. ქუთაისი. ფ. 2.

90

1881 წლის თებერვლის 12.—დ. ყიფიანის სტატია, გაზეთ „კავკაზში“ (№ 348) მოთავსებულ იანოვსკის წერილის საპასუხოდ, სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ. დედანი, ავტოგრაფი, რუსულად, ქუთაისი. ფ. 20.

91

1881 წლის დეკემბრის 12.—დიმიტრი ყიფიანის წერილი დავით ჩუბინაშვილისადმი მის მიერ შედგენილი გრამატიკის შესახებ. შავი, ავტოგრაფი, ქართულად. სოფ. ქვიშხეთი. ფ. 1 (საბუთის თავში დ. ყიფიანის ხელითვე: „უფალს პროფესორს ჩუბინოვს“).

92

1882 წლის იანვარი—აპრილი.—დ. ყიფიანის დღიურების ნაწყვეტი. ავტოგრაფი, ქართულად (ერთგან რუსულად), მეღნიტ (ზოგან თანქრით) ნაწერი. ფ. 6.

93

